

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ორგანიზაციის დასახელება: საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შუზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სინათლე

საიდენტიფიკაციო კოდი: 245415135

საანგარიშგებო პერიოდი - 2020 წელი

აქტივები

	შენიშვნა	2020	2019	2018
ფულადი სახსრები	8	14 036	11 426	131 179
საუაქრო მოთხოვნები	9	587	1 462	4 746
გაცემული ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი მარაგი		-	-	-
- მზა პროდუქცია		120	120	120
- სხვა - დაუმთავრებელი მშენებლობა		120	120	120
სხვა მიმდინარე აქტივები		-	-	-
ბიოლოგიური აქტივები		-	-	-
- თვითღირებულების მოდელით		-	-	-
- გადაფასების მოდელით		-	-	-
ძირითადი საშუალებები	10	2 316 469	2 341 306	1 977 846
- მიწა		3 927	3 927	3 927
- შენობა-ნაგებობა		2 146 511	2 116 172	1 845 682
- სხვა ძირითადი საშუალებები		166 031	221 257	128 237
- არამატერიალური აქტივები		-	-	-
- საიჯარო აქტივები, საკუთრების გადაცემის პირობით		-	-	-
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტში		-	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები		-	-	-
გამოსყიდული საკუთარი აქციები		-	-	-
კაპიტალი (გაუნაღებელი ნაწილი)		-	-	-
სულ აქტივები		2 331 212	2 354 314	2 113 891

საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები

ვალდებულებები	შენიშვნა	2019	2018	2017
საუაქრო ვალდებულებები		-	-	-
ანარიცხები		-	-	-
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		-	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	-	-
დარიცხული ხარჯები და გადავადებული შემოსავალი		-	-	-
შესაკუთრებისაგან ნასესხები სახსრები		-	-	-
ბანკებისაგან ნასესხები სახსრები		-	-	-
სხვა ნასესხები სახსრები		-	-	-
სხვა ვალდებულებები		-	-	-
სულ ვალდებულებები		-	-	-
საკუთარი კაპიტალი				
სააქციო კაპიტალი	11	1 025 430	1 169 430	1 013 430
გაუნაწილებელი მოგება/ზარალი		(1 356 759)	(1 367 565)	(1 058 611)
გადაფასების რეზერვი		2 662 541	2 552 449	2 159 072
სხვა კაპიტალი		-	-	-
სულ კაპიტალი		2 331 212	2 354 314	2 113 891
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		2 331 212	2 354 314	2 113 891

დირექტორი:

მთავრადგებელი:

ა. ფალაქაძე

ეროვნული



შემოსავლის, ხარჯებისა და გაუნაწილებელი მოგების ანგარიშგება

ნუტო ამონაგები	მენიშენა	2020	2019	2018
- საქონლის გაყიდვიდან		396 920	497 656	412 933
- მომსახურების გაწევიდან	4		254	254
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან		351 674	448 013	373 056
- სხვა		45 246	49 389	39 623

რეალიზებული პროდუქციის ღირებულება		(6 377)	(182 876)	(157 168)
- საწყისი მარაგი		(120)	(120)	(120)
- შესყიდვა		(6 377)	(182 876)	(157 168)
- გადამუშავების დანახარჯები				
- საბოლოო მარაგი		120	120	120

საერთო მოგება		390 543	314 780	255 765
----------------------	--	----------------	----------------	----------------

სხვა შემოსავალი		-	-	-
დასაქმებულთა ანაზღაურება	6	(114 315)	(297 432)	(233 993)
ცვლთა/ამორტიზაცია		(152 606)	(137 746)	(132 007)
გაუფასურების ხარჯი				
- ფინანსური აქტივები				-
- მარაგები				
- სხვა არაფინანსური აქტივები				
საპროცენტო შემოსავალი				
საპროცენტო ხარჯი				-
სხვა ხარჯები	7	(112 816)	(188 556)	(256 996)

მოგება, მოგების გადასახადის ხარჯამდე		10 806	(308 954)	(367 231)
მოგების გადასახადი				-

საანგარიშგებო პერიოდის მოგება/ზარალი		10 806	(308 954)	(367 231)
---	--	---------------	------------------	------------------

საწყისი გაუნაწილებელი მოგება: გადაანგარიშებული		(1 367 565)	(1 058 611)	(691 380)
- საწყისი გაუნაწილებელი მოგება გადაანგარიშებამდე (გასული წლის საბოლოო ნაშთი)		(1 367 565)	(1 058 611)	(691 380,00)
- გასული პერიოდის შეცდომის გასწორების გავლენა				
- გასული პერიოდის სააღრიცხვო პოლიტიკის გავლენა				

ბიოლოგიური აქტივის გასვლისას, გადაფასების რეზერვის ნაშთის გადატანა გაუნაწილებელ მოგებაში				
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)				

გაუნაწილებელი მოგების საბოლოო ნაშთი		(1 356 759)	(1 367 565)	(1 058 611)
--	--	--------------------	--------------------	--------------------

დირექტორი:

მთავრადგებელი:

ა. ფალავა
ეროყვა



ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან

მოგება/ზარალი დაბეგრამდე

10 806

(308 954)

კორექტირებები:

ცვლილება და მორტოზაცია

152 606

137 746

მოგება/ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში

ცვლილებამდე

163 412,00

(171 208,00)

კლება/ზრდა:

ცვლილებები მარაგში

-

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

875

3 284

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

-

ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ

-

საგადასახადო აქტივი

-

საგადასახადო ვალდებულება

-

მოგების გადასახადი

-

აენსები

-

წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან

164 287

(167 924)

ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან

ძირითადი საშუალების შეძენა

(1 340)

(77 399)

მიმდინარე აქტივები

(16 337)

(30 430)

კაპიტალის შემცირება

(144 000)

156 000

გაცემული/მიღებული დივიდენდი

წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან

(161 677)

48 171

ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან

მიღებული სესხები

-

გაცემული სესხები

-

ფინანსური ოპერაციიდან მიღებული სხვა შემოსავალი

-

წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან

-

წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში

2 610

(119 753)

სავალუტო კურსის ეფექტი

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში

11 426

131 179

ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს

14 036

11 426

2 610

(119 753)

დირექტორი:

მთ.პუბლიკატორი:



ა. ფილიპი
გ. როგვა

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

საქართველოს უსინათლოთა
კავშირის აჭარის შეზღუდული
პასუხისმგებლობის საზოგადოება სინათლე

ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სინათლე
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

1. ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სინათლე (შემდგომში - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია ბათუმის სასამართლოში, რეგისტრაციის ნომერი და თარიღი: 01/04-419; 29/08/1996. საიდენტიფიკაციო ნომერი 245415135.

კომპანიის ძირითად საქმიანობის სფეროს წარმოადგენს: საკუთარი ან იჯარით აღებული არასაცხოვრებელი შენობების გაქირავება და მართვა. მდებარეობს ქ. ბათუმი, გრიბოედოვის 67.

2. სასტუმროები და განთავსების მსგავსი საშუალებები რესტორნების გარეშე, მდებარეობს ქობულეთის რაიონი, სოფ. ციხისძირი.

ფილიალები - არ აქვს.

სერვისცენტრები - არ აქვს.

1. საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სინათლე; დასასვენებელი სახლი: 2 ერთეული.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. ბათუმი, გრიბოედოვის ქ. N67.

ელ. ფოსტა: irma_dolidze123@mail.ru; eleonora.rokva@gmail.com

2019 წლის 1 იანვრისა და 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის 100%-იანი წილის მფლობელია: 206070222, საქართველოს უსინათლოთა კავშირი.

კომპანიის დირექტორია ასლან ფაღავა.

კომპანიის სტატუსია: ფუნქციონირებადი.

კომპანიის საქმიანობა: 1.2.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენდა 1 169 430 ლარს, ხოლო 2020 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 1 025 430 ლარს.

2019 წლის 31 დეკემბრისათვის თანამშრომლების რაოდენობა იყო 25, ხოლო, 2020 წლის 31 დეკემბრისათვის თანამშრომლების რაოდენობა არის 20 ადამიანი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მსს ფასს სტანდარტი და ინტერპრეტაციების შესაბამისად.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შერეულდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

3. ფინანსური ანგარიშგების ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა

ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც გამოყენებულია ფინანსური
ინფორმაციის მომზადებისას, მოცემულია ქვემოთ.

ტერმინების განმარტებები:

რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც შეიძლება აქტივი გაიყვანოს ან
ვალდებულება დაიფაროს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის
„გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით“. საუკეთესო რწმუნება რეალური
ღირებულების დასადგენად არის ფასი აქტიურ ბაზარზე.

აქტივის თვითღირებულება არის აქტივის შეძენის ან შექმნის დროს გადახდილი
ფული ან ფულის ეკვივალენტების ან სხვა სახის საზღაურის რეალური ღირებულების
თანხა და მოიცავს საოპერაციო ხარჯებს.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც
წარმოშობს როგორც ერთი კომპანიის ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე კომპანიის
ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივი ნებისმიერი აქტივია, როგორიცაა: ა) ფულადი სახსრები; ბ) სხვა
კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტი; გ) კომპანიის სახელშეკრულებო უფლება; (i)
სხვა კომპანიისაგან მიიღოს ფული ან სხვა ფინანსური აქტივი; ან (ii) მისთვის
პოტენციურად ხელსაყრელი პირობებით სხვა კომპანიას გაუცვალოს ფინანსური
აქტივები ან ვალდებულებები; ან დ) ხელშეკრულება, რომელიც ანაზღაურდება ან
შესაძლებელია ანაზღაურდეს კომპანიას საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით.

ფინანსური აქტივები

კომპანია განსაზღვრავს მისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას
თავდაპირველი აღიარებისას ქვემოთ განმარტებული ჯგუფების მიხედვით. კომპანია
არ ფლობს დაფარვის ვადამდე ფლობილ ინვესტიციებს, გასაყიდად არსებულ ან
რეალური ღირებულებით აღრიცხულ ფინანსურ აქტივებს მოგებაში ან ზარალში
ასახვით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის ისეთი აქტივები, რომლებიც
დაუბრკოლებლად გადაიცილება ნაღდი ფულის წინასწარ ცნობილ ოდენობაზე და

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სინათლე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს.

მათი ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას, როდესაც:

ა) აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის ან

ბ) კომპანია გადასცემს ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულადი სახსრების საკონტრაქტო უფლებებს ან აწყობს გარიგებას (1) ასევე გადასცემს არსებითად ყველა რისკს და აქტივის საკუთრებას ან (2) არსებითად არც გადასცემს და არც იტოვებს ყველა რისკს და გადასცემს საკუთრებას, მაგრამ არა შენარჩუნებულ კონტროლს.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

სესხების აღრიცხვა

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარებულია იმ პერიოდის ხარჯებად, როდესაც ისინი იქნენ გაწეულნი, იმისდა მიუხედავად, თუ რა მიზნით იქნა გამოყენებული აღებული სესხი.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია სესხების, სავაჭრო და სხვა ფინანსური ვალდებულებების სახით. ფინანსური ვალდებულებები თავდაპირველად შეფასებულია რეალური ღირებულებით. ფინანსური ვალდებულებები შემდგომ აღიარდება ამორტიზებული ღირებულებით.

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის
მოსალოდნელი.

ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც
წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს
კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმოშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს
სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას
არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი
ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს;

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების
გათვალისწინებით);

- კანონმდებლობიდან; ან

- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც
ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა.

გადაფარვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები არის გადაფარული და ნეტო თანხითაა
წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ როდესაც,
არის კანონიერი უფლება, რომ აგრეგირდეს აღიარებული თანხები და არის განზრახვა
წარდგენილ იქნეს ნეტო თანხით ან გაიყიდოს აქტივი და დაიფაროს ვალდებულება
ერთდროულად.

ძირითადი საშუალებები

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით.
თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს, ასევე
აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის
სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება
საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა
შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შუზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწვევის პერიოდში.

ცვეთა

ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად.

მიწას ცვეთა არ ერიცხება, ხოლო დანარჩენ ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულია ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები კატეგორიების მიხედვით:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობები	40 წელი
მანქანა დანადგარები	10-15 წელი
საოფისე ავეჯი და ინვენტარი	5-8 წელი
კომპიუტერული ტექნიკა	6 წელი

არამატერიალური აქტივები

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განსაზღვრული მოხმარების ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის და გაუფასურების დანაკარგების გამოკლებით.

ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შერეული პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

სასარგებლო მომსახურების მიახლოებითი ვადები 5-დან 10 წლამდე პერიოდს
შეადგენს.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მოხმარების ვადის და ამორტიზაციის
მეთოდის გადახედვა ხორციელდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის
ბოლოსათვის.

ცალკე შესყიდული არამატერიალური აქტივები, განუსაზღვრელი მოხმარების
ვადით, აღირიცხება თვითღირებულებით გაუფასურების დანაკარგების გამოვლენით.
არამატერიალური აქტივების გაუფასურების აღრიცხვა ხდება მაშინ, როდესაც
არსებობს იმის ნიშნები, რომ არამატერიალური აქტივები შეიძლება უფასურდებოდეს.

სხვა აქტივების აღრიცხვა

- მრავალჯერადი გამოყენების აქტივები (სპეცტანსაცმელი და შრომის დაცვის
საშუალებები), რომელთა გამოყენების ვადის საიშედოდ განსაზღვრა შეუძლებელია,
აისახება მოკლევადიანი აქტივების შემადგენლობაში.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ
თვითღირებულებასა და ნეტო სარგალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით.
თვითღირებულება მოიცავს შეძენისა და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია
მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მაგალითად,
ტრანსპორტირებისა და იმპორტის ხარჯები, ასევე სხვა პირდაპირი ხარჯები.

ყოველთვიურად, წარმოების ყველა დანახარჯი აკუმულირდება და თავს იყრის
დაუმთავრებელი წარმოების ანგარიშზე. წარმოების დანახარჯების მაგალითებია:
ცვეთა, იჯარა, შრომის ანაზღაურება, კომუნალური ხარჯები და სხვა საწარმოო
ზედნადები ხარჯები.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების ჩამოწერა ხდება ინდივიდუალურ
დანახარჯთა მეთოდით, როცა ეს მიზანშეწონილი და შესაძლებელია. თუ ამ მეთოდის
გამოყენება არ ხდება (ვერ ხერხდება), მაშინ გამოიყენება საშუალო ფასების მეთოდი.

დაზეგვრა

გადასახადები აღიარდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. წინასწარ
გადახდილი გადასახადები წარდგება, როგორც საგადასახადო აქტივები.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

შემოსავალი

საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის აღიარება ხდება, როდესაც კომპანია მყიდველს გადასცემს საქონლის ფლობასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან რისკებსა და სარგებელს, და ასევე, როდესაც მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს. ეს კრიტერიუმები ჩაითვლება დაკმაყოფილებულად, როდესაც პროდუქცია გადაეცემა მყიდველს.

თუ ამონაგები უკვე ასახულია და ამის შემდეგ საექვო გახდა თანხის მიღება, ამოსაღები თანხა აისახება როგორც ხარჯი და არა როგორც თავდაპირველად აღიარებული ამონაგების თანხის კორექტირება.

ხარჯების აღიარება

კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირდაპირ არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება.

ხარჯები ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, თუ აღარ მოიტანს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს, ან თუ ეკონომიკური სარგებელი არ აკმაყოფილებს ან შეწყვეტა დაკმაყოფილება აქტივის აღიარების მოთხოვნისა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება-ასახვა ხდება დარიცხვის მეთოდით, ბასს-ების შესაბამისად, ამასთან, ხარჯების აღიარებისას დაცულია მიმდინარე პერიოდის ამონაგებსა და დანახარჯებს შორის შესაბამისობის პრინციპი.

ხარჯების აღრიცხვის შინაარსი - ფუნქციური დანიშნულებით.

ხელფასების აღრიცხვა

მომუშავეთა ხელფასების დარიცხვა ხორციელდება ყოველთვიურად, საზოგადოების ხელმძღვანელის ბრძანების საფუძველზე ან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შესაბამისად. თუ შრომითი ხელშეკრულება გაფორმებული არაა, ან მასში არ არის ცალსახად განსაზღვრული შრომითი ანაზღაურების სიდიდე, მაშინ

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შერღუდილი პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

ანაზღაურების დარიცხვის საფუძველს წარმოადგენს საზოგადოების ხელმძღვანელის
ხელმოწერით დამტკიცებული ხელფასის უწყისი.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების
ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით
ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ
ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას
არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის,
მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ
შენიშვნებში.

შეფასებისა და წარდგენის ვალუტა

(ა) ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა

თავის ოპერაციებში კომპანია ფუნქციონალურ ვალუტად იყენებს ქართულ ლარს,
რომელსაც მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კომპანიის ოპერაციებზე. ამგვარად,
მოცემული ფინანსური ანგარიშგებისათვის შეფასების ვალუტად კომპანია იყენებს
ქართულ ლარს.

(ბ) ტრანზაქციები და ბალანსი

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირებულია ფუნქციონალურ
ვალუტაში ოფიციალური გაცვლით კურსით ბალანსის შედგენის დღისთვის. მოგება
და ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან ოპერაციების ანაზღაურებისას და ფულადი
აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციისას წლის ბოლოს არსებული
ოფიციალური კურსით

ადიარებულია მოგებად ან ზარალად. წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად
აქტივებს.

2020 წლის 31 დეკემბერს და 2019 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული
ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შერეული პასუხისმგებლობის საზოგადოება სინათლე
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი

პერიოდი	დოლარი	ევრო
კურსი 2019 წლის 31 დეკემბრისთვის	2,8677	3,2095
კურსი 2020 წლის 31 დეკემბრისთვის	3,2766	4,0233

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

- ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები - ძირითად საშუალებებზე და არამატერიალურ აქტივებზე ცვეთისა და ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში.

სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება.

- მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხები - კომპანია რეგულარულად აფასებს მოთხოვნებს გაუფასურებაზე. გაუფასურების ნიშნების არსებობის შემთხვევაში ხელმძღვანელობა აფასებს დებიტორული დავალიანების მომავალ ფულად ნაკადებს, ხოლო თუ საჭიროა ინდივიდუალური დებიტორის მომავალ ფულად ნაკადებს, გაუფასურების ნიშნები შეიძლება იყოს დებიტორის მიერ გადახდების გაუარესება, ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც უარყოფით გავლენას ახდენს მასზე.

ხელმძღვანელობა წარსული გამოცდილების საფუძველზე აფასებს მოთხოვნების გაუფასურებას.

- სასამართლო დავები - კომპანია ანარიცხს სასამართლო დავებთან დაკავშირებით აღიარებს მხოლოდ მაშინ, როდესაც ადგილი აქვს მიმდინარე ვალდებულებას, რომელიც წარსულში მომხდარი ქმედების შედეგია, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიისგან და შესაძლებელია მისი საიმედოდ განსაზღვრა. 2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონია მნიშვნელოვანი სასამართლო დავები.

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სინათლე

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

4. შემოსავლები მომსახურების გაწევიდან

	31.12.2020
მომსახურებიდან და საქონლის გაყიდვიდან, სულ:	351674.00
მათ შორის:	

6. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2020
სულ ანაზღაურება	114 315.00
მათ შორის:	
ხელფასი	114 315.00

7. სხვა ხარჯები

	31.12.2020
სულ	112 816.00

8. ფულადი სახსრები

	31.12.2020
ნაღდი ფული	17.00
ლარი საბანკო ანგარიშზე	14019.00
ჯამი	14 036.00

9. სავაჭრო მოთხოვნები

	31.12.2020
სავაჭრო მოთხოვნები	587.00
ჯამი	587.00

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება სინათლე
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

10. 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი საშუალებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

-მიწა-არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების, მდებარეობს ქ. ბათუმი გრიბოედოვის ქ. № 67; ქობულეთი, სოფ. ციხისძირი.
 -შენობა-ნაგებობები მდებარეობს ქობულეთი, სოფ. ციხისძირი და არის შემდეგი სახის:
 2 დასასვენებელი სახლი.

11. საწესდებო კაპიტალი:

საწესდებო კაპიტალი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	პარტნიორი	წილი	საწესდებო კაპიტალი, ლარი
1	საქართველოს უსინათლოთა კავშირი.	100%	1 025 430.00
	სულ	100%	1 025 430.00

12. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:

- საკრედიტო რისკი;
- ლიკვიდურობის რისკი;
- საბაზრო რისკი;

სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად.

ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისათვის, ამასთანავე, პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის
ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის მიერ
დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან
დაკავშირებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური
მახასიათებლები.

კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ
ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდის პირობებს
შესთავაზებენ.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის არ იყო მნიშვნელოვანი საკრედიტო
რისკის კონცენტრაცია სავაჭრო და სხვა მოთხოვნებთან მიმართებაში.

საკრედიტო რისკი საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებთან მიმართებაში
უმნიშვნელოა, ვინაიდან აღნიშნული ბანკები წარმოადგენენ კარგი რეპუტაციის მქონე
ბანკებს.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეეძლება სირთულეები
მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების
შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის
ფუნქციონირებაზე.

ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და
საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნები.

კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან
დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი
ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან
დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

- საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება
შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის
თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების
ღირებულების ცვლილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს
უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი

საქართველოს უსინათლოთა კავშირის აჭარის შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება სინათლე
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2020 წლის 31 დეკემბერს

ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო
განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

- საპროცენტო რისკი

საპროცენტო რისკი არის რისკი (ცვალებადი ღირებულებით), რომელიც
დაკავშირებულია პროცენტთან სესხებთან, ცვლადი საპროცენტო განაკვეთის გამო.

კომპანიას არ აქვს რისკი, რომ საპროცენტო განაკვეთი გაიზრდეს, რადგან ყველა
მიღებულ სესხზე ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი აქვს.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი წარმოიქმნება, როდესაც იცვლება ვალუტის კურსი უცხოურ
ვალუტასთან მიმართებაში.

13. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2020 წლის 1 იანვრის შემდგომ პერიოდში არ დამდგარა ისეთი მოვლენები/გარემოება,
რომელიც სხვაგვარად წარმოადგენდა 2020 წლის ფინანსურ ანგარიშგებას ან
შენიშვნელოვნად შეცვლიდა ამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას.



მთ.ბუღალტერი:

[Handwritten signature]

ასლან ფაღავა

[Handwritten signature]

ელენორა როყვა